30-ს სექტემბერს, № 21 1887 წელს.

# მწყემსი

1883-1887

«მწყემსი» დამატებით გამოდის თვეში ორჯელ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად | | 5 | მან. |
| ნახევარი წლის | — | 3 | — |
| «მწყემსი» რუსული დამატებით | — | 6 | — |
| ნახევარი წლით | — | 4 | — |
| ცალკე რუსული დამატება წლით | — | 3 | — |
| ნახევარი წლით | — | 2 | — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## წმიდა სოფიის ტაძარი კონსტანტინეპოლში,

ვირდემდის თათრები დაიპყრობდენ.

პირველად სოფიის ტაძარი აღაშენა მოციქულთ-სწორმა იმპერატორმა კონსტანტინემ IV საუკუნეში, მაგრამ რადგან ეს ეკკლესია იყო ხისა, ამიტომ ის მთლად დაიწვა ერთი იმ ამაოხრებელი ცეცხლისაგან, რომელმაც გადასწვა მთელი კონსტანტინეპოლი. შემდეგ იმპერატორმა იუსტინიანემ თავისი დიდებული მეფობის დროს მეორედ აღაშენა ეს ტაძარი. თუ როგორი იყო იუსტინიანესაგან აღშენებული ტაძარი, ამას დავინახავთ მაშინდელი დროის მემატიანეთა სიტყვებისაგან: «კაცის გონებას არ შეუძლია გამოხატოს სიდიდე და სიმშვენიერე ამა ტაძრისა», ამბობდენ ძველი მოგზაურნი. «იმპერატორმა აღაშენა ფრიად დიდი შენობა, რომლის მზგავსი არ მოიპოვება ისტორიაში, აღაშენა ტაძარი წმ. სოფიისა, უდიდესი, უმშვენიერესი და უტურფესი, რომლის ასაწერად სიტყვები ვერ მოგიგონებია კაცსა», მოწმობს იუსტი-დროის ბერძნის ისტორიკოსი.

ამ ტაძარში იყო 365 სამსხვერპლო ოქროთი და ვერცხლით მოჭედილნი და ძვირფასი ქვებით მორთულნი; ტაძრის ურიცხვი კარები ჩამოსხმულნი იყვნენ მოოქვრილი ბრონძისა და სპილენძისაგან; ტაძრის კედლებში გაყვანილი იყო მრავალი წყაროები. უმთავრესი სამსხვერპლო ამა ტაძრისა მორთული იყო ოქროს ტრაპეზით, რომელიც დაჩრდილული იყო საუცხოვოდ ჩამოსხმული ოქროს კარვით, რომლის გარეშემო სამკეც ოქროს ჯაჭვზე ჩამოკიდებულნი იყვნენ იმპერატორების ძვირფასი გვირგვინები. მთელს საქრისტიანო ქვეყანაში ეს შესანიშნავი ტრაპეზი მოიტაცეს ჯვაროსანთა მეოთხე ომის დროს ვენეციელმა დონდოლომ. გარდამოცემა მოგვითხრობს, ვითომც ეს ტრაპეზი ეხლაც შეიძლება დაინახოს კაცმა კარგ ამინდის დროს მარმარილოს ზღვის პსკერზე, სადაც ის ჩაიძირა ვენეციელებისაგან სხვა მოტაცებულ ქონებასთან ერთად, როცა ეკკლესიის მკრეხელთა გემები დაიღუპა ღელვისაგან.

ამ საუცხოვო ტაძრის კრებული შესდგებოდა ათასი კაცისაგან. ტყუილად კი არ უძახდენ ამ ტაძარს ბერძნები «დიდ ეკკლესია»-ს. ამ ტაძრის აღშენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუჯდა იუსტინიანეს სამ მილლიონ ნახევარი მანეთი, ჩვენი ფულით რომ იანგარიშოს კაცმა*). ტაძრის შენება გაგრძელდა ექვსი წლიწადი, იმ დროის გამოჩენილ ხუროთ-მოძღვართ ანთიმი ტრალლესკის, ისიდორე მილეთსკის და იგნატე მელისტრის ხელმძღვანელობით.

როცა ეს ახლად აღშენებული ტაძარი აკურთხა პატრიარქმა, დიდმა იმპერატორმა იუსტინიანემ მედიდურად დაიძახა თურმე: «დიდება შენდა უფალო, რომელმა ღირს მყავ მე ამ დიდი საქმის შესრულებისა! მე გაჯობე შენ, სოლომონ!»

წმ. სოფიის ტაძრის დიდება გაითქვა მთელ ქვეყანაზე და ქრისტიანების ყველა ქვეყნებში დაიწყეს მისი მზგავსი ეკკლესიების შენება წმ. სოფიის, ღვთის სიბრძნის სახელობაზე.

წმ. სოფიის ტაძარი შეიქმნა თვით უსრულესი ხელოვნური გამახორციელებელი აღმოსავლეთის ქრისტიანე კაცის სარწმუნოებითი აზრისა, ღვთის სასახლედ, რომელიც აღშენებულ იქმნა მეტად მშვენიერი ფეროვანი და ვებერთელა ქვებით; ტაძარი ხელოვნურად არის ზემოდამ დახურული, თითქო დაფარულ იყოს ხელთ-უქმნელი ცის თაღით, რომელზედაც მოფენილია ბრწყინვალე, როგორც მზე, ანგელოზების და წმ. მამათა სახეები; ერთი სიტყვით ეს ტაძარი შეიქმნა საეკკლესიო ხელოვნების იდეიად მთელი მართლმადიდებელი ხალხისათვის, შეიქმნა საეკკლესიო არქიტექტურის კანონად, როგორც ერთხელ მოსწრებულად სთქვა ამ ტაძარზე ერთმა სასულიერო მწერალმა.

ქრისტიანები მეოთხე საუკუნიდამ დაწყებული 1453 წლამდე ლოცვილობდენ ამ დიდებულ წმ. სოფიის ტაძარში. მაგრამ დიდ და გამოუთქმელ არიან საქმენი შენი, უფალო! ამ წელში ქრისტიანებს დაეკარგათ თავის დიდება—სოფიის ტაძარი და თავათაც მრავალნი დახოცილ იქმნენ უწყალო ბარბაროსებისაგან.

## სახელდობრ ვინ დაიპყრო ბიზანტიის სახელმწიფო და კონსტანტინეპოლი და როდის?

ათასი წლის წინად, როდესაც ევროპიელთ შორის მეტის-მეტი სისწრაფით ვრცელდებოდა ქრისტეს სარწმუნოება, აზიაში იჩინა თავი მაჰმადის სწავლამ, რომელსაც არაბეთის მცხოვრებმა მაჰმადიმ შეადგინა მაშინდელი დროის სხვა-და-სხვა აღსარების ხალხთა სწავლა-მოძღვრებისაგან. მაჰმადმა თავის სწავლა-მოძღვრების შესადგენად ბევრი ისარგებლა ქრისტეს სწავლა მოძღვრებითაც. მაჰმადის სწავლა პირველადვე აღიარეს მისმა ტომის ხალხმა—არაბებმა.

თათრები შეიქმნენ გულითადი აღმსარებელნი მაჰმადის სწავლისა, და თავდადებით შეუდგნენ თავის მოციქულთან ერთად მაჰმადიანობის გავრცელებას. მაჰმადი ვალად სდებდა ყველა მის მორწმუნეთა ებრძოლათ ქრისტიანეთა წინააღმდეგ; თათრებიც ყოველივე საშუალებას ხმარობდენ თავის აღსარების გავრცელებისათვის. სწავლა მოძღვრების მაგიერად მაჰმადი და მისი თანა-მორწმუნენი ხმარობდენ ცეცხლსა და ხმალს თავის სარწმუნოების გასავრცელებლად. ამ საშუალებით მაჰმადის სარწმუნოება მალე გავრცელდა მთელს მცირე აზიაში, სპარსეთში, მისირიაში და სხვაგან. ამ ადგილებში თათრებმა დააფუძნეს რამდენიმე სახელმწიფოები; თათრებმა დაიპყრეს პალესტინა და იერუსალიმი—ეს წმიდა ადგილი ქრისტიანებისა.

ოსმალეთის სამეფო დაამყარა ოსმანის შვილმა ორხანმა, რომელმაც 1326 წელში დაიფლო ბრუზა, 1330 წელში ნიკეია, 1339 წ. ნიკომიდია და ბოლოს მთლად დაიპყრო მცირე აზია.

ორხანის პირველმა შვილმა სალიმან პირველად გაილაშქრა ევროპისაკენ; დაიპყრო ბალკანის ნახევარი კუნძული. ორხანის მეორე შვილმა მურად პირველმა კი 1360 წელში დაიპყრო ადრიანოპოლი, რომელიც დანიშნა ოსმალეთის სახელმწიფოს სატახტო ქალაქად. შემდეგ მურად პირველმა დაიპყრო მაკედონია და აქედგან თავ-ზარი დასცა ბოლგარებს და სერბიელებს. ამ სახით ბიზანტიის სახელმწიფოს ყოველი მხრით ძლიერი ოსმალები ჰყავდა შემოხვეული. მურადის შვილმა მაჰმეტ II-ემ დაიპყრო ბიზანტიის სამეფო 1453 წელში 29 მაისს და შევიდა სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლში. მის შემდეგ რაც ოსმალებმა დაიპყრეს ეგვიპტე, სირია და სხვა სახელმწიფოები აზიაში და ევროპაში, მათ ისეთი ძალა მოიპოვეს, რომ ზღვიდგან და ხმელეთიდგან მოსვენებას არ აძლევდენ ქრისტიანებს 50 წ. განმავლობაში.

კონსტანტინეპოლის აღების დროს მრავალ ქრისტიანეთა სისხლი დაიღვარა. საწყალმა ქრისტიანებმა თავი შეიფარეს თავის დიდებულ ტაძარში, მაგრამ ცეცხლი და მახვილი ყველგან სდევდენ მათ! თათრები შეუბრალებლად ხოცდენ ქრისტიანებს ყველგან. უწყალო ბარბაროსებმა დაიპყრეს წმ. სოფიის ტაძარი, დიდება მთელი საქრისტიანოისა. მაჰმეტ II დიდებულად

*) ეხლანდელი არქიტექტორების ზედამხედველობით და ხარჯთა აღრიცხვით, რასაკვირველია, ერთი ათად მეტი დაჯდება!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიდა ტაძარში, დაჯდა ტაძრის წმ. ტრაპეზზე, გასისხლიანებული ხმლით ხელში და ბრძანა: აღავლინეთ ვედრება მაჰმადისადმი.

## წმ. სოფიის ტაძარი დაპყრობის შემდეგ.

დღეს სოფიის ძველი ტაძრის მხოლოდ ქვის კედლები-ღა არის დარჩენილი. ტაძარი სდგას სერალის სერზე, ოსმალთა ბრწყინვალე პორტის მახლობლად. როცა მოგზაური შედის მარმარილოს ზღვაში პირველად მას თვალ-წინ წარმოუდგება სოფიის ტაძარი, რომლის სიდიდეს და ტაძრის ვეებერთელა გუმბათსა განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი.

ამ უშველებელი ტაძრის გარეშემო სრულებით არ არის თავისუფალი მოედანი. ტაძარს გარედგან შემორტყმული აქვს ხის უშნო შენობები. თვით ტაძრის შენობაზე მიშენებულნი არიან უბრალო სახლები და დუქნები. თუმცა ეს ასეა, მაგრამ დიდებული შენობა წმ. სოფიის ტაძრისა მაინც არ ჰკარგავს თავის სიმშვენიერეს ხელოვნებითი მხრით, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა და მოჰყავს მნახველი.

დღეს ტაძარზე ოთხივე მხრით გაკეთებულია მაღალი მინარეტები, რომელნიც ქრისტიანების ამ წმიდა შენობას შეუპოვრად დაჰყურებენ ზემოდგან. ტაძრის შენობა ძალიან უწმიდურად არის შენახული. ჩრდილოეთის ტალახიან კიბიდგან ამ ტაძარში ისე ჰყრიან მტვერს და ქვების ნამტვრევებს, როგორც სანაგვეზე. ტაძრის ამ გვარი მდგომარეობა გულს უმღვრევს და სულს უწუხებს ყოველ ქრისტიანე კაცსა.

ტაძრის შესავალი ვეებერთელა კარები დაფარულია გახუნებული და ნახევრობით დახეული წითელი მაუდით, რომელზედაც დაწერილი არის ყორანიდამ ზოგიერთი სტრიქონები. უმთავრეს შესავლიდამ ტაძარში შეჰყავხართ ცხრა კარს, რომლებიც აგრეთვე დაფარულნი არიან მაუდებით. მემატიანეთა მოთხრობა გვარწმუნებს, რომ სოფიის ტაძარს ჰქონდა 365 კარი და 365 ტრაპეზი წლის დღეების რიცხვისა მებრ.

ამ დიდებული ტაძრის კედლები დაფარულნი არიან გარედამ მდიდრული და მშვენიერი მარმარილოთი. მარმარილოსაგან არის გამოჭრილი და დახურული ფანჩატური და ვრცელი გალერეია მგალობლებისათვის, საუცხოვო კიბე კათედრისა და სულთანების სასაფლაო. მაგრამ ყველა ეს მარმარილოს შენობები ამ უშველებელ ტაძარში, თითქმის, შეუჩნეველნი რჩებიან.

ქრისტიანების ტრაპეზი გამოღებულია, ნაცვლად მისა ხელოვნურად არის დადგმული და მარმარილოთი მორთული მოსლემანთა «მირაბი», რომლის წინ სდგანან დიდნი, მორის მზგავსნი, კედლებზე მიჭედილნი რკინებით, მოოქრილნი და ზედ წარწერილნი თაფლის სანთლები, რომელნიც ანთიან შანდლებში; შანდნების წინა ჰკიდია კანდლები, რომლებზე დაკიდებულია სირაქლემის კვერცხები და თითო მუჭა პურის თავლები. «მირაბი» ცოტათი მიხრილია დიდი საკურთხევლისაკენ, პირ-და-პირ ქაბისა. აქვე ჰკიდია მწვანე მარმარილოს დაფა, რომელიც უჩვენებს მის მიმართულებას.

მოსლემანთა მეჩეთები მდიდრულად არ არიან მორთულნი. მეჩეთებში არ მოინახება არა ვითარიმე გამოხატულება კაცისა, გინდა რაიმე სულიერი არსებისა. სოფიის ტაძრის ხელოვნური და ძვირფასი მოზაიკური მხატვრობა დაუფარავთ ოქროს სალებავით, მხოლოდ ოთხი დიდი და მშვენიერი გამოხატულება-ექვს-ფრთოვანი სერაფიმებისა, რომელნიც დახატულნი არიან კედელში დატანებულ ოთხ უმთავრეს ბოძების იალქნებზე, რომლებზედაც დამაგრებულია თაღი. ეს მხატვრობა ხელ-უხლებად არის დაცული, მხოლოდ ანგელოზების პირის სახე წაშლილია უმოწყალო ბარბაროსების ხელისაგან.

ხატების მაგიერ აქა-იქ კედლებზე და თაღებზე დაკიდებულია მრგვალი და შავი საფარები და გრძელი მწვანე ფიცარი, რომელიც მთლად დაწერილია ოქროთი ყორანიდამ ამოღებული სტრიქონებით; კედლებზე ჰკიდია მექის ხალიჩები, რომლებიც მოქარგულნი არიან აბრეშუმის ძაფით. ეს ხალიჩები, მოსლემანთა აზრით, გაწმედილნი არიან კაბის ქვის შეხებით.

ერთ სვეტზე, ჭერს ქვეშ დიდი ჭდე არის დაჩენილი. ეს ჭდე დაჩენილია მალომეტ მეორისაგან. ეს მალომეტი, როცა მას დაუპყრია ბიზანტია, ცხენით შესულა სოფიის ტაძარში თავისი თანა-მხლებლებით, ხელში სჭერია ხმალი, რომლის დაკვრით გაუპია ქვის ერთი სვეტი. ასე მაღლობაზე მიტომ დაუკრავს ხმალი, რომ ტაძარი მთლად სავსე ყოფილა დახოცილი ქრისტიანებით, რომლებზედაც ის თავის ცხენით დადიოდა თურმე. იქვე, მეორე სვეტზე აჩნია მალომეტის გასისხლიანებული მარჯვენა ხელის მონაკიდები. ამ დროს მალომეტმა და მისმა თანამოაზრეებმა უმოწყალოდ და

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეუბრალებლად მოსრისეს თურმე თაყიანთი ცხენებით ტაძარში შეგროვილნი ქალები და პატარა ბავშვები.

ტაძრის შანიშინებზე დარჩენილან ბევრი მოზაიკური თალები, რომელთაც უმოწყალოდ მისლემანთაგან წასმული ოქროს საღებავი გადაცლია. ეს მოზაიკური ნაშთები გვიმტკიცებენ ტაძრის შინაგანი და გარეგანი მორთულების სიმშვენიერეს და სიმდიდრეს. მხატვრობანი, რომელნიც ვერ შეუმუსრავს ათას წელს, გაკეთებულნი არიან ფეროვანი ქვებისაგან. ისინი თავის მომხიბლავი სხვა-და-სხვა ფეროვნებით და საღებავის სიმშვენიერით იზიდავენ მნახველის ყურადღებას. ამ ძვირფასი მხატვრობით ოდესმე დაფარულნი ყოფილან ტაძრის უშველებელი თალი, გუმბათი, სვეტები და კედლები.

კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ აია-სოფია შეიქმნა სტამბოლის პირველ წმ. ადგილად ისე, როგორც წინათ ეს ტაძარი ითვლებოდა კონსტანტინოპოლის წმ. ადგილად. ტაძარს, დღეს თათრების მეჩეთად გადაკეთებულს, დიდი შემოსავალი აქვს. ამ შემოსავლით მეჩეთთან ინახება მრავალი თათრების სკოლები, საავად-მყოფოები, მოგზაურთა მისაღები სახლები, სასადილოები და ღარიბთა თავ-შესაფარი სახლები. დღიდგან ამ ძვირფასი ტაძრის მეჩეთად გადაკეთებისა მის მარმარილოს მაღალ კიბეზე ადიან მაჰმადის მოადგილენი სალოცავად; მათ ერთ ხელში უკავიათ მაჰმადის სჯულის წიგნი—ყურანი და მეორეში ამოღებული ხმალი, მოსაგონებლად იმ ისტორიული ხმლისა, რომლის შემწეობით მაჰმედ II-ემ და მისმა ჯარმა დაიპყრეს დიდი სისხლის ღვრის შემდეგ სატახტო ქალაქი ქრისტიან იმპერატორთა.

როგორ მდგომარეობაშია დღეს წმ. სოფიის ტაძარი?

ნემცის ერთი არქიტექტორი, რომელიც წარსულს წელში მოგზაურობდა აღმოსავლეთში, ამ დიდებული ტაძრის მდგომარეობის შესახებ ერთ ნემეცურ გაზეთში სწერს შემდეგს: «ეს ვებერთელა და ძვირფასი ტაძარი—ნაშთი ძველი დროის მხატვრობისა, რომელიც აღაშენა იმპერატორმა იუსტინიანემ 532 წელში ცეცხლის და მიწის-ძვრისაგან დაქცეულ ეკკლესიების ადგილზე, თან-და-თან ინგრევა. როგორც გარედგან, ისე შიგნიდგან ტაძარი ისე დაძველებულია, რომ ძალიან ძნელი წარმოსადგენია ამ საუცხოო შენობამ კიდევ ასი წელიწადი გასძლოს. სვეტების თალები დაბზარილან; აგრეთვე დაბზარილან ეკკლესიის თალები და გრეხილები ბევრ ადგილას; მცირე თალები, რომლებზედაც დამაგრებულია ვებერთელა გუმბათი ტაძრისა, ისე გაფუჭებულან სინოტიესაგან და სიძველისაგან, რომ დიდხანს ველარ გაუძლებენ იმ სიმძიმეს, რომელიც მათზეა დამაგრებული და ერთ დროს გუმბათიანად, რომელსაც ძირში სივრცე ასი ფუტი აქვს, დაიმგვრევიან. ოსმალეთის მთავრობა ყურადღებას არ აქცევს, რომ დაიცვას დაქცევისაგან მთელი საქრისტიანო ქვეყნის ძვირფასი ნაშთი; შეკეთების დროს თათრები მარტო იმას მეცადინობენ, რომ დამსკდარი ადგილები სვეტებისა და თალებისა შელესონ კირით, როდესაც საჭიროა დროით ტაძრის მთელი შენობის საფუძვლიანად შეკეთება, რომ არ დაინგრეს.

თუ კი ნემეცი ასე ჰფიქრობს და სწუხს ამ ტაძარზე, რა გვმართებს ჩვენ მართლ-მადიდებელთა?...

ვათავებთ ჩვენ ამ ტაძრის აღწერას ერთი შესანიშნავი ისტორიულ-ლეგენდარული მოთხრობით. აი ეს მოთხრობა:

როდესაც აზიის ბარბაროსები შევარდნილან ტაძარში საზარელიყვირილით და ხმლებით დაუწყიათ ტაძარში შეფარულ ქრისტიანების ხოცვა, მღვდელს, რომელიც წირვად მდგარა, აუსვენებია ბარძიმ-ფეშხუმი და თავისუფლად წასულა ტაძრის ერთი ეგუტერისაკენ. როცა თათრებს სდომებიათ გასისხლიანებული ხმლების დაკვრა მღვდლისათვის, ტაძრის კედელი გაღებულა და დაუფარავს მღვდელი წმ. ნაწილებიანად. ბერძნები და თათრებიც ერწმუნებიან, რომ ის მღვდელი დღესაც კედლის სიღრმეში კითხულობს ლოცვებს ამ სიწმიდეზე; ამ ლოცვის ხმა ვითომც შეუძლია გაიგონოს კეთილ-მორწმუნე კაცმა. ბერძნებს სწამთ აგრეთვე, რომ მოვა დრო, როცა ქრისტიანები გაიმარჯვებენ და ურწმუნონი დამარცხდებიან, მაშინ ისევ გაიხსნება ტაძრის კედელი, რომლისაგან გამოვა ის მღვდელი ბარძიმ-ფეშხუმით და ხელახლად დაიწყებს სამსახურს განახლებულს სოფიის ტრაპეზზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გარეგანი და შინაგანი მორთულობა ისაკიევის საკრებულო ტაძრისა.

როცა უახლოვდებით ამ სობოროს, პირველად ყოვლისა, თქვენ გაკვირვებს ამ ტაძრის სიდიდე და ფანჯრების რიცხვის სიცოტავე. ტაძარი მეტად ვრცელი და მაღალია: სიგრძით არის 52 საჟენი და 12 გოჯი; სიმაღლით თვით გუმბათის ჯვრამდე—47 საჟენი და 2 ადლი. საკუთრად ტაძრის შენობის სიმაღლე საფუძვლიდამ დაწყებული პატარა გუმბათებამდინ არის 16 საჟენი. მთელს ტაძარს გარს შემოვლებული აქვს მარმარილოს ქვა. საფუძვლის ჩასაყრელად თხრილები 7—9 ადლის სიმაღლეზე არიან გათხრილნი; ამ თხრილებში ჩაუსვიათ სამ საჟენიანი ტივის ხეები ერთი ერთმანეთიდამ 8 გოჯის სიშორეზე. საფუძვლის გაკეთებაზე მთელი წელიწადი განუწყვეტლად მუშაობდა თურმე 11,000 კაცი. ტაძრის სარძიკველი გაკეთებულია მთლად კლდის და ფილაქნი ქვისაგან. მარტო სარძიკველზე დახარჯულა ორ ნახევარი მილიონი მანეთი ქაღალდის ფული. ტაძრის დერეფანში მნახველს აიცებს მორთული კიბეები, რომელნიც არიან გაკეთებულნი ვებერთელა ელვარე და მოწითალო ფერის ქვის ფილაქნებისაგან. ამ კიბეებს შეჰყავხართ ტაძარში. ეს ფილაქნები შეადგენენ საფუძველს მრავალ დიდ ბოძებისას, რომელნიც არიან გაკეთებულნი ეკკლესიის გარეშემო. სვეტები, რომლებზედაც დამაგრებულია დერეფნები ტაძრის ოთხივე მხრით, თქვენს ყურადღებას იქცევენ როგორც თავისი სიდიდით, აგრეთვე, განსაკუთრებით, იმით, რომ თითოეული სვეტი სხვა-და-სხვა ქვებისაგან კი არ არის აშენებული, არამედ გათლილია ერთიანი ქვისაგან.

ეს სვეტები ალექსანდრეს და პომპეის სვეტებს გარდა ყველაზე მაღლებია მთელს დედამიწაზე. სვეტები არიან გაკეთებულნი ერთიანი ქვისაგან. ისაკიევის სობოროს ოთხ დერეფანში არის ორმოცდა რვა ქვის სვეტი. თითოეულ სვეტს სიმაღლე ექნება თითქმის რვა საჟენი, ხოლო სიმსხო, განსაკუთრებით ძირში, ექნებათ ორი ადლი და 14 გოჯი. ამ 48 სვეტის ქვების მოტეხა, მოტანა, გათლა და გაკეთება დაჯდომილა ორი მილლიონი და ექვსას ათასი მანეთი.

ტაძრის კედლების კეთება დაუწყიათ მაშინ, როცა გაუკეთებიათ სვეტები. კედლის სისქე ოთხი ადლია. კედლის მასალაზე და მუშაობაზე დახარჯულა ორ ნახევარი მილლიონი. ტაძარს აქვს სამი დიდი კარი: ჩრდილოეთიდგან, სამხრეთიდამ და დასავლეთიდამ, და ოთხი გვერდების პატარა კარები, რომელნიც გაკეთებულნი არიან კედლის ბაქნებში. ყველა ეს კარები ჩამოსხმულია ბრონზისაგან და დამაგრებულნი არიან მუხის ჩარჩოებზე. ეს კარები მეტად დიდებია, და მასთან ძალიან ხელოვნურად არიან ჩამოსხმულნი. თითოეული დიდი კარი ღირს 156,000 მანეთი, ხოლო პატარაები 96,000 მანეთი. ყველა კარები დაფარულია ჩამოსხმული წმიდა მხატვრობაებით.

ამ ტაძრის სახურავი არის სპილენძისა მოოქროვილი. მარტო ტაძრის სახურავი ღირს ნახევარი მილლიონი მანეთი. ტაძრის სახურავზე და ოთხ დერეფანისაზე ცალცალკე დადგმულია სახეები, ოთხი მახარებელისა და 8 მოციქულისა.

ტაძრის სახურავის ზემოდ ამაღლებულია ვებერთელა გუმბათი, რომელშიაც გაკეთებულია ოც-და-ოთხი ფანჯარა. გუმბათის თავზე გაკეთებულია პატარა ფარანი, ხოლო ფარნის ზემოთ დადგმულია ჯვარი. ეს ჯვარი, რომელიც მიწიდამ ასე პატარა ეჩვენება კაცს, ნამდვილად რამდენჯერმე მეტია კაცის სიმაღლეზე. ჯვარი დაუდგამთ ტაძრის თავზე 14 სექტემბერს 1839 წელსა. ამავე დროს ტაძრის გუმბათის თვით უმაღლეს წვეროზე, 354 ფუტის სიმაღლეზე, გაუკეთებიათ ფიცრის იატაკი, რომელზედაც შეუსრულებიათ პარაკლისი. შემოსილ მღვდლებს უნდა აეარათ კიბის 708 საფეხური. ფანრის მოაჯირიდამ მშვენიერი დასანახავია პეტერბურგი და მისი გარემო ადგილები. ამ სანახაობას ერთი ორად ამშვენებს ზღვა, მდინარეები და კუნძულები, ასე რომ ეს სანახაობა არ ჩამოუდგება იმ სანახაობას, რომელიც კაცს წარმოუდგება თვალ წინ მოსკოვში იოანე დიდისაგან გაკეთებულ სამრეკლოდამ. როცა ამ გუმბათის ფარნის მოაჯირზე სდგახარ, მხოლოდ მაშინ გრძნობ ამ ტაძრის სიდიდეს პეტერბურგის სხვა ეკკლესიებთან შედარებით. აქედან იხედება: კრონშტანდი, პეტერგოფი, სტრელნა, ლუდერგოფი, კრასნოე სელო, პულკოვო, ცარსკოე სელო, და გაჩინო. ხუთი გუმბათის და ტაძრის სახურავის გაკეთება მოოქროვილად დამჯდარა ორ მილლიონ ნახევარი მანეთი.

ისაკიევის ტაძარში არის თერთმეტი ზარა, რომელნიც ერთად იწონენ 4,349 ფუთსა. ზარების ყიდვა დამჯდარა სამოც-და-ორი ათასი მანეთი. თვით უმთავრესი ზარა იწონის 1860 ფუთს და 23 გირვანქასა, გარდა ზარის ენისა, რომელიც იწონის 49 ფუთს და

ეროვნული
ბიბლიოთეკა



29 გირვანქას. ზარების მრეკლებად არიან დაყენებულნი თორმეტი კაცი. ამ ზარების ხმა ძრიელ შორს ისმის და მასთან ხმაც სასიამოვნო აქვსთ. ამ ტაძრის უმთავრესი ზარის ხმა ჰფარავს სხვა ეკკლესიების ზარების ხმას.

Დღის სინათლე შედის ამ უშველებელ შენობაში ოცდა ერთი ფანჯრიდგან, მაგრამ ტაძრის უმთავრესს ძირა ნაწილს ანათებს მარტო ცხრა ფანჯარა. Დანარჩენი 12 ფანჯარა გუმბათშია გაკეთებული, გარდა იმ 24 ფანჯრისა, რომელნიც თვით გუმბათის წვეროზე არიან გაკეთებულნი. Გუმბათის ყველა ფანჯრები ძალიან ცოტად ანათებენ ტაძრის შინაგან ნაწილს, სადაცა სდგანან მლოცველები, რაისა გამო ტაძარს, თუმც ის ხელოვნურად და მდიდრულად არის მორთული, ბევრი აკლდება.

Ამ ტაძარს შიგნით სიგრძე აქვს 40 საჟენი და ორი ადლი, სიგანე—21 საჟენი, ორი ადლი და 6 გოჯი, სიმაღლე იატაკიდამ ფანრის თალამდე —44 საჟენია. Ტაძარში არის სამი სამსხვერპლო: უმთავრესი სამსხვერპლო აღშენებულია ღირსის ისაკი Დალმატელის სახელობაზე; მის მარჯვნით არის მეორე სამსხვერპლო წმ. დიდი მოწამის Ეკატირენეს სახელზე, ხოლო მარცხენა გვერდით აღშენებული სამსხვერპლო გაკეთებულია წმ. კეთილ-მორწმუნე და დიდი მთავრის Ალექსანდრე ნეველის სახელობაზე.

Ტაძარში შესვლისა თანავე თქვენს ყურადღებას იტაცებს ტაძრის სიბნელე. Ამიტომ, როცა ტაძარში შედიხართ, ცოტა უნდა შეჩერდეთ, შემდეგ უნდა წახვიდეთ დასავლეთის კარებისაკენ და იქიდგან ყურადღებით უნდა დაათვალიეროთ ტაძარი და თან-და-თან უნდა მიუახლოვდეთ კანკელს. Ტაძრის იატაკი სხვა-და-სხვა ფერის მარმარილოსაგან არის გაკეთებული.

Უმთავრესი საკურთხევლის კარებთან თქვენს ყურადღებას იტაცებს უშველებელი და სხვა-და-სხვა ფერის სვეტები: ზოგი სვეტი მწვანე ფერისაა, ზოგი მოშავო. მწვანე სვეტები გაკეთებულნი არიან მალახიტისაგან (ერთნაირი ქვაა), ხოლო მოშავო და მოლურჯო სვეტები გაკეთებულნი არიან მოშავო და ცისფერი ქვებისაგან. Ასეთი სვეტები სულ რვაა, ხოლო ორი სვეტი კედლებშია დატანებული. Თითო სვეტი სიმაღლით არის 13 ადლი და 6 გოჯი, ხოლო სიმსხოთი ძირში ერთი ადლი და 11 გოჯი.

Უშველებელი სიმაღლე და აქედგან წარმომდგარი სიბნელე ტაძრის გრეხილებზე და ჭერ ქვეშ არ გაძლევენ მნახველს ნებას, რომ დასტკბე საღმთო გამოხატულებათა ხელოვნებით, რომელნიც ამშვენებენ Ისაკიევის საკრებულო ტაძარს.

38 სურათებში, რომელნიც დახატულნი არიან კედლებზე და ჭერზე, გამოხატულია უმთავრესი და უფრო შესანიშნავი შემთხვევები, რომელნიც მოხსენებულნი არიან დაბადებაში ქვეყნის შექმნიდამ, ვიდრე დასასრულამდე ქვეყნისა. მაგრამ, სამწუხაროდ, სიბნელისა გამო მხოლოდ ზოგიერთ სურათებს თუ დაინახავთ, თორემ დანარჩენები ან სრულებით არ იხედებიან და ან სინოტიესაგან ნახევრობით წაშლილნი არიან. Ყველა ამ სურათების დახატვა, გარდა იმავებისა, რომელნიც გუმბათში არიან დახატულნი, დამჯდარა 176 ათასი მანეთი და ისიც თავ და-პირველი მუშაობისათვის.

## რამდენი იხარჯება ყოველ წლობით ამ ტაძარზე?

Ტაძრის შენობის ზედამხედველობა აბარია ინსპექტორს, რომელიც ინჟინერთაგანია, არქიტექტორს და ზედამხედველს. Სობოროს შესაკეთებლად იხარჯება ყოველ წლობით 18 ათას მანათამდე. Ტაძრის კრებულის შესანახავად იხარჯება ყოველ წლობით 29 ათასი მან., ვინც თვალ-ყურს ადევნებს ტაძრის შენობის სიმაგრეს, მას ეძლევა სამი ათასი მანეთი, ტაძრის სტოროჟებს ეძლევათ 7 ათასი მანეთი.

## რა დახარჯულა ამ ტაძრის ზოგიერთი უმთავრესი ნივთებისათვის მოწყობილებისათვის.

Ეკკლესიის აშენებაზე დახარჯულია ორი მილიონი ფუთი მარმარილო. Ეკკლესიის სამკაულებში არის ორი ფუთი ოქრო, 133 ფუთი ვერცხლი, შვიდი ქორ-კანდელი 180 ფუთია წონით. Გუმბათებზე არის 100,000 ათასი ჩუქურთმა, მოაჯირები დამჯდარა 154, 867 მანეთი; ექვს დროშაზე დახარჯულა 17,175 მანეთი.

რვა მწვანე სვეტები კანკელისა დამჯდარა 353, 418 მანეთი. ორი მტრედის ფერი სვეტი დამჯდარა 74,000 მანეთი.

Კედლის მხატვრობა დამჯდარა 768,000 მანეთი. სალარო დამჯდარა 90,000 მანეთი, ტაძრის მორთულობა დამჯდარა 39,000 მანეთი.

Ჯამი ყველა გასავლისა, რომელიც დახარჯულა ამ ტაძრის შენებაზე უწევს 24 მილიონამდე.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული საღმრთო წიგნთ-საკითხავი.

დიდი ხნის ჩვენმა მეცადინეობამ და შრომამ არ ჩაგვიარა უქმად: როგორც იყო დავაარსეთ ქართული საღმრთო წიგნთ-საკითხავი, რომელშიდაც ყოველ პირს შეუძლია იკითხოს ყოველ გვარი საღმრთო წერილის წიგნები, მოისმინოს სხვა-და-სხვა საღმრთო მოძღვრებანი, შეისწავლოს საეკკლესიო გალობა; ერთი სიტყვით, განათლდეს სულიერად, ამაღლდეს ზნეობითად და ყოველივე ამა სიამოვნებისათვის არ გადიხადოს არც ერთი გროში.

დღეს გვინდა მოუთხრათ მკითხველს, თუ რა საშუალებით და რა მიზნით დავაარსეთ ჩვენ ეს უსასყიდლო წიგნთ-საკითხავი. ეს წიგნთ-საკითხავი ჩვენ დავაარსეთ ჩვენის საკუთარის საშუალებით. ამ საკითხავის დაარსების დროს სახეში გვქონდა, რომ ყოველ პირს შესძლებოდა მასში ყოველ გვარი საღმთო და საეკკლესიო წიგნების უსასყიდლოდ მოპოება და კითხვა. მართლაც, გაიხსნა ეს საკითხავი, თუ არა, მასში ბლომად იწყო ხალხმა სიარული. სასიამოვნო სანახავია, როცა საკითხავში შემოდის ხალხი, უჯდება სტოლებს, იღებს ხელში ჯაჯჭვებით დაბმულ წიგნებს და კითხულობს გულს-მოდგინებით. ბოლოს საკითხავში მოსიარულე პირთა შორის ბევრნი აცხადებენ სურვილს ჩაეწერონ საკითხავის ძმობის წევრთა შორის. ჯერ-ჯერობით ესეც დიდი ნუგეშია ჩვენთვის. შემდეგში, როცა წიგნთ-საკითხავი სრულს ნდობას დაიმსახურებს საზოგადოებისაგან, იმედია ჩვენგან დაარსებული საქმე მიაღწევს იმ მაღალ მიზანს, რომელიც სახეში გვქონდა ამ საკითხავის დაარსების დროს. ყველაზედ სასიამოვნო ის არის, რომ საკითხავის დამაარსებელნი თავიანთი შეძლებისა და გვარად სწირავენ ფულებს საკითხავის სასარგებლოდ. ზოგმა წევრთაგანმა უკვე შესწირა საკითხავის სასარგებლოდ 150 მან., მაგრამ გარდა ამისა კიდევ არ აკლებენ შემწეობას საკითხავს. ჯერ-ჯერობით ჩვენის საკუთარის საშუალებით ვინახავთ საკითხავს და საზოგადოებისათვის არ მიგვიმართავს შემწეობისათვის. არ მიგვიმართავს საზოგადოებისათვის, რადგან ჯერ გვინდა თვით ჩვენ დავაყენოთ ეს საქმე მტკიცე საფუძველზე და, როცა საქმე ასე მოეწყობა, იმედი გვაქვს, საზოგადოება უჩვენოთაც მიხვდება, რომ ამ კეთილს საქმეს შემწეობა უნდა მათის მხრითაც.

ვისაც სურს ჩვენს ძმობაში ჩაეწეროს და ხელი მოუმართოს ჩვენგანვე დაწყებულ კეთილ საქმეს, მან უნდა შემოიტანოს წიგნთ-საკითხავის სასარგებლოდ ხუთი მანეთი წელიწადში. ვინც წელიწადში ოც მანეთს შემოიტანს, ის ჩაირიცხულ იქმნება საკითხავის დამფუძნებელ წევრად და წიგნთ-საკითხავის ყოველ გვარი საქმე ისე ეკითხება, როგორც ჩვენ, ამ საკითხავის დამაარსებელთ.

დასასრულ საჭიროთ ვრაცხთ დაუმატოთ, რომ ამ გვარი წიგნთ-საკითხავის დაარსება თბილისში დღემდისაც საჭირო იყო. ქალაქის მუშა ხალხი, როცა საქმეს რჩება, ტყუილ-უბრალოდ ატარებს დროს. ასეთი ხალხისათვის საჭიროა ისეთი დაწესებულება, სადაც მას შეეძლოს უსასყიდლოდ საკითხავი წიგნების შოვნა და კითხვა, რომ თავისუფალ დროს მაინც იზრუნოს თავის სულზე.

სწორეთ ასეთი დაწესებულება არის ჩვენგნით დაარსებული წიგნთ-საკითხავი და, თუ ჩვენი სურვილისამებრ მოვაწყეთ ეს საკითხავი, მას დიდი სამსახურის გაწევა შეეძლება ჩვენი საზოგადოებისათვის. საკითხავს შეუძლია სულიერად, ზნეობითად და გონებითად აღამაღლოს მდაბიო ხალხი. ამიტომ ყოველი ქრისტიანე, რომელიც მარტო ქრისტიანობის სახელს არ ატარებს, სიამოვნებით მიეგებება ამ საქმეს.

მაქსიმე შარაძე.

## ქართული საღმრთო წიგნთ-საკითხავის წესდება.

«1) საღმრთო წიგნთ საკითხავი კაბინეთი არსდება ქალაქ თბილისში გასავრცელებლად სასულიერო განათლებისა, მართლ-მადიდებლის ეკკლესიის წესისამებრ, ქართველ მდაბიო ხალხში სამშობლო ენაზედ, და თუ საჭიროება მოითხოვს რუსულ ენაზედაც.

2) აღნიშნულის მიზნის მისაღწევად კაბინეთისათვის იქმნებიან გამოწერილნი საღმრთო შინაარსის წიგნები, წარმოითქმებიან საღმრთო მოძღვრებანი, და, როდესაც კაბინეთს მოემატება შეძლება, მიღებულ იქმნებიან ზომები ისწავლონ მსურველთა ქართული საეკკლესიო გალობა.

3) წიგნები იქმნებიან გამოწერილნი საქართველოს საექსარხოსოს მართლ-მადიდებელი ძმობის რჩევის ჩვენებით; იგივე ძმობა დაადგენს მოძღვრებების წარმოთქმის პროგრამმას და წესს, და დანიშნავს პირთ ამ მოძღვრებების წარმოსათქმელად. შესაძლოა წევრების თხოვნით მოპოებულ იქმნენ კაბინეთისათვის საღმრთო შინაარსის რუსული წიგნები, აგრეთვე წარმოითქმებოდნენ მოძღვრებანი რუსულ ენაზედაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) ხელთ-მძღვანელობა და თვალ-ყურის დევნება აღნიშნულ სასულიერო საქმეების აღსრულებისა ეკუთვნის საქართველოს საექსარხოსოს მართლ-მადიდებელ ძმობის რჩევას, ამისათვის ისინიც, ვინც სწირავენ ფულს კერძო კაბინეთის დასაარსებლად და მის სარჩენად, ირიცხებიან ძმობის წევრებად.

5) შეწირულებებით შეკრება, ფულის და კაბინეთის ყოველივე ქონების შენახვა და საზოგადოდ მთლად კაბინეთის ეკონომიური ნაწილის მართვა, დაახლოვებული ზრუნვა წესიერების დაცვაზედ საკითხავად ან მოძღვრების წარმოსათქმელად დანიშნულ დროს; აგრეთვე აღსრულება ძმობის რჩევისაგან ნაჩვენებ მოთხოვნილებათა წიგნების გამოწერის შესახებ ვალად სძევთ კაბინეთის დამაარსებელთ, ან იმათ, ვისაც ისინი ამოირჩევენ და ჩააბარებენ კაბინეთის მართვას. ამ ამორჩეულთ პირთ უნდა ჰქონდესთ უფლება დაუბრკოლებლივ იტვირთონ ეს თანამდებობა, უნდა იყვნენ ისინი კეთილ-სამედონი ზნეობითის მხრივ და იმდენად განვითარებულნი გონებით, რომ შეეძლოთ აასრულონ თავიანთ მოვალეობა; ამისათვის არ შეიძლება ისინი დანიშნულ იქმნენ ამ თანამდებობის ამსრულებლებად საქართველოს საექსარხოსოს მართლ-მადიდებელი ძმობის რჩევის დაუთანხმებლად.

6) წესები კაბინეთში გარეგანი წესიერების დაცვის შესახებ იქმნებიან დადგინებულნი საქართველოს საექსარხოსოს მართლ-მადიდებელ ძმობის რჩევისაგან. ეს წესები, სხვათა შორის, მოითხოვენ, რომ კაბინეთი დაკეტილი იყოს კვირას და უქმეების წინა დღეს; როდესაც მართლ-მადიდებელი ეკკლესია უწერს მწუხრის ლოცვას, რომ კაბინეთში მიმსვლელებს აკრძალული ჰქონდეთ ლაპარაკი და მოძღვრების წარმოთქმა, იმ მოძღვრების გარდა, რომლებიც იქმნებიან დანიშნულნი საქართველოს საექსარხოსოს მართლ-მადიდებელ ძმობის რჩევისაგან.

7) ყველა საჭირო ცნობები კაბინეთის მოქმედებათა შესახებ, როგორც მაგ. ცნობები ფულის შესავალ-გასავალის შესახებ და სხვ., ყოველ თვე მოეხსენება საქართველოს საექსარხოსოს მართლ-მადიდებელი ძმობის რჩევას, და ამ ცნობებს მოახსენებს მას ძმობისაგან მიჩენილი კაბინეთის მზრუნველი, რომელსაც დაჰნიშნავს საქართველოს ექსარხოსი.

8) კაბინეთის მზრუნველს, როგორც ძმობის რჩევისაგან დადგინებულს კაცს, კაბინეთის მმართველნი მიჰმართავენ ყოველივე თავიანთ საქმის შესახებ.

9) კაბინეთში შესვლის უფლება აქვსთ ყველა მართლ-მადიდებლებს.

10) კაბიეთში შესვლისათვის და მისი წიგნთ-საცავის სარგებლობისათვის არ გამოერთმევათ არა ვითარი გადასახადი.

11) კაბინეთის ბიბლიოთეკიდამ წიგნის წაღების მსურველმა უნდა დასტოვოს გირაოდ წიგნის ფასი, და თუ წიგნი აღარ დააბრუნა თავის დროზედ, ან წაახდინა, მაშინ გირაო აღარ დაუბრუნდება იმას, ორივე შემთხვევაში გირაო დატოვებულის ფულით ისყიდება ახალი წიგნის დროზედ არ დაბრუნებულის ან გაფუჭებული წიგნის სამაგიეროდ.

12) სანამ კაბინეთს შეძლება არ მოემატება, კაბინეთის ბიბლიოთეკიდამ არ შეიძლება გატანა სამ მანეთზედ მეტად ღირებულის წიგნისა

13) კაბინეთი იქმნება ღია შუადღის შემდეგ ოთხის საათიდამ ცხრა საათამდინ; თუ საჭიროება მოითხოვს ძმობის რჩევის თანახმობით და საქართველოს ექსარხოსისაგან ნებადართვით კაბინეთი შეიძლება იყოს ღია ღამის ათ საათამდის.

14) კაბინეთის დამაარსებელ წევრებად ითვლებიან ისინი, რომლებსაც შემოაქვთ კაბინეთის კასსაში ყოველ წლივ არა ნაკლებ 20 მანეთისა; და მხოლოდ ნამდვილ წევრებად ითვლებიან ისინი, რომელთ შემოაქვთ კაბინეთის კასსაში ყოველ წლივ არა ნაკლებ 5 მანეთისა.

15) კაბინეთის შეძლება შესდგება ა) წევრთაგან შემოტანილის ფულებისაგან, ბ) კეთილ-მნებელობითი შეწირულებისაგან და გ) სხვა-და-სხვა შემთხვევითი შემოსავლისაგან.

16) თუ რომელიმე ამ აღნიშნულ წესთაგანი იქმნა დარღვეული, საქართველოს საექსარხოსოს მართლ-მადიდებელი ძმობის რჩევა მოახსენებს, ვისაც ჯერ არს, რომ დაიკეტოს კაბინეთი.

17) ყოველივე ცვლილება კაბინეთის წესებისა შესაძლოა მხოლოდ ნებართვით სასულიერო მთავრობისა, რომლის წინ იშუამდგომლებს ამის შესახებ კაბინეთის მზრუნველი.

18) იმ შემთხვევებში, რომელნიც ამ წესდებაში არ არიან წინათვე სახეში მიღებულნი, კაბინეთის დამაარსებლებმა და წევრებმა უნდა იხელ-მძღვანელონ საზოგადო კანონებით და ექვემდებარებოდნენ აქაც საქართველოს საექსარხოსოს მართლ-მადიდებელი ძმობის რჩევის ჩვენებას.

## წესები

მართლ-მადიდებელი ძმობის კაბინეთისა.

1) ძმობის კაბინეთი ღია არის ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეების წინა დღეებისა, როდესაც დაწესებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია მწუხრის ლოცვა, შაბათის უკან, 4 საათიდამ 9 საათამდინ.

2) კაბინეთში შესვლის უფლება აქვსთ მამრობითი სქესის პირთ მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა.

3) კაბინეთში შესვლისათვის და კაბინეთის ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის არავითარი გარდასახადი არ ერთმევათ.

4) კაბინეთში შემსვლელთ ვალად სძევთ დაიცვან ჯეროვანი მართებლობა; აკრძალულია კაბინეთში თამბაქოს წევა, ლაპარაკი, მაღალი ხმით კითხვა, კითხვაში ხიარული. ქუდით ყოფნა. ამ წესის დამარღვეველნი დათხოვნილ იქმნებიან კაბინეთიდამ.

5) წიგნების მხმარებელთ ვალათ სძევთ სიფრთხილით ეპყრობოდნენ წიგნებს: არ ჩაუკეცონ და დახიონ ფურცლები, არა სწერონ იმათზედ, არ წაახდინონ ყდა. წიგნების წახდენისათვის დამნაშავეს გარდახდება წახდენილი წიგნის ან წახდენილი ყდის ფასი.

6) არავის არა აქვს ნება გადვიდეს მოაჯირის იქით, რომლის უკან სდგანან წიგნების საცავი შკაფები და მივიდეს ამ შკაფებთან.

7) საკითხავად წიგნის მიღებას მსურველმა უნდა აღნიშნოს კაბინეთის კატალოგის მიხედვით, ნომერი და განყოფილება წიგნისა ქაღალდზედ, რომელიც განსაკუთრებით ამ მიზნისათვის სძევს დარბაზში, სტოლზედ, გადასცეს ეს ქაღალდი ბიბლიოთეკარს და ის მისცემს წიგნს მთხოვნელს.

8) მკითხველი ვალდებულია კაბინეთიდამ გამოსვლის წინ წიგნი ბიბლიოთეკარსვე დაუბრუნოს.

9) კაბინეთიდამ სახლში წიგნების წაღებას მსურველებმა უნდა დასტოვონ გირაოდ წიგნების ფასი და, თუ წიგნები აღარ დააბრუნეს თავის დროზად, ან წაახდინეს ისინი, გირაო აღარ დაუბრუნდებათ იმათ.

## გურიიდგან.

ჩვენს ხალხში ბევრს ამაოდ-მორწმუნობას და ცუდ ჩვეულებას აქვს ფესვი გადგმული. მდაბიო ხალხი მკტიცედ ასრულებს ამ მორწმუნეობათ და ჩვეულებათა, რომელთაც ცუდი ზედ-მოქმედება აქვსთ ხალხის სარწმუნოებაზე და ზნეზე. ამ ამაოდ-მორწმუნეობათა შორის ზოგი ისეთია, რომ კიდეც ვერ წარმოგიდგენია, თუ საიდგან შემოიღო ისინი ხალხმა და ან რა მიზნით ასრულებენ. აქ მე დავასახელებ ერთ არა-ქრისტიანულ ჩვეულებას, რომელსაც გურიაში ეძახიან «ყანის მოძახილს». ამ ჩვეულების პატივ-საცემლად ხალხს დაარსებული აქვს დღეობა 14 აგვისტოს. ამ დღეობისათვის ხალხი დიდ მზადებაშია. შორს არ წავლენ გლეხები, რომ 14 აგვისტოსათვის გარეთ არ დარჩნენ. წინ-და-წინ ყოველი გლეხი, ათასი ღარიბი იყოს, ორიოდე გირვანქა თოფის წამალს მაინც იყიდის ამ დღეობისათვის. თუ თვითონ არა აქვს თოფი და ტამბაჩა, სხვას გამოართმევენ. 14 აგვისტოს, ნაშუადღევის მეშვიდე საათის ორმოცი წამიდამ ყოველი გლეხის ეზოში თქვენ ხედავთ კაცებს და ქალებს, რომელნიც, რაც შეუძლიათ, მაღალის ხმით გაიძახიან შემდეგ სიტყვებს: ჯვარი აქა, კუდიანებო, ჯვარი აქა, კუდიანებო. შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსა ჯვარი დამიწერე. ამ სიტყვებს იძახიან საღამოის ათ საათამდინ. ამ სიტყვების ყვირილის დროს არის ერთი გახშირებული თოფის სროლა. უცხო კაცი რომ შემოვიდეს ამ დროს აქ, იფიქრებს, რომ სწორეთ მტერი შემოსევია სოფელს და აოხრებსო. თოფის სროლა გრძელდება სამ საათს. გლეხი არ დარჩება, რომ მის ეზოდგან რამდენჯერმე არ ისროლონ თოფი. როცა თოფის სროლას გაათავებენ, მერმე შეექცევიან ვახშამს. ვახშმის გათავების შემდეგ აიღებენ წმიდა თაფლის სანთელს ხელში და ზულავენ. დაწოლის წინ აიღებენ ამ სანთელს და ყურის მახლობლად მიიკრავენ თმაზე და წვებიან დასაძინებლად. როგორც ცოტა ინათლებს, ხალხი დგება და თავიანთ ეზოებში ხმა-მაღლა გაიძახიან ზემოთ მოყვანილ სიტყვებს, ე. ი. ჯვარი აქა, კუდიანებო და სხვა. მერე შეიქნება ისევე თოფის სროლა, რომელიც გაგრძელდება გათენებამდის. წმინდა სანთლის თმაზე მიწეპებას ეძახიან დაბეჭდვას. მიწეპებულ სანთელს აშორებენ თმას მესამე დღეს. ამ ჩვეულების შესრულების შემდეგ ხალხი ძრიელ დაღლილია და ხმა სრულებით წასული აქვს მეტის-მეტი ყვირილით. თოფის სროლასაც ბევრი უბედურება მოსდევს. ბევრს თოფი უსკდება ხელში და ხელებს უფუჭებს და ზოგს თოფი თვალებს უმსებს. 14 აგვისტოს, ღამით არავინ გარეთ ან აივანზე არ დაწვება, ძალიან სიცხეც რომ იყოს, რადგან ტურა კაცის კუდიანის ეშინიათ და ფიქრობენ, რომ ის წაგვიყვანსო.

სწორეთ გასაკვირია ხალხის ასეთი უაზრო ჩვეულება, მაგრამ ნაკლები გასაკვირი არც ის არის, რომ აქამომდე ამ ცუდი ჩვეულებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია და არ დაურიგებია მდაბიო ხალხი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა ეს ჩვეულება მოსპონ. მაგრამ ან კი ვინ უნდა დაარიგოს ხალხი? ხალხის დარიგება და მოძღვრება უმეტესად სასულიერო მწყემსთა მოვალეობა არის, მაგრამ ზოგიერთი მათგანი თვით დიდ მონაწილეობას იღებენ ამა არა ქრისტიანულ ჩვეულების დროს.

გერასიმე თევზაძე.

## გელათის მონასტერი. *)

კანკელზე არის სხვა ხატებიც, რომლებზედაც არიან წარწერანი უკანასკნელი დროის მეფეთა, მაგრამ ეს ხატები მაინც-და-მაინც შესანიშნავნი არ არიან არც სიძველით და არც თავისი ძვირფასი მორთულობით.

ტაძრის მარჯვენა გვერდით არის კიდობანი, რომელიც მშვენიერად არის გაკეთებული მუხის ხისაგან. ამ კიდობანს შიგნით გამოკრული აქვს ვერცხლის თხელი ფურცელი. ამ ფურცელზე არის წარწერანი იმ წმიდანთა სახელებისა, რომელთა ნაწილები ინახებიან ამ კიდობანში. ეს კიდობანი მოურთავთ თავისი მეცადინეობით ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის ძმათა, რომელთა თავი შეიფარეს გაენათის მონასტერში სათათრეთთან უკანასკნელი ომის დროს.

საღმრთო ხატების შემდეგ შესანიშნავნი არიან კედლებზე ისტორიული და ეკკლესიური მხატვრობანი, რომელნიც უნებლიედ იზიდავენ კაცის ყურადღებას; ეს მხატვრობანი დღემდე ამშვენებენ ტაძრის კედლებს. კანკელის მარცხნით, იქ, სადაც გამოხატულნი არიან მოციქულთა-სწორნი მეფე კონსტანტინე და დედოფალი ელენე, როგორც პირველნი მშენებელნი ეკკლესიისა, შესანიშნავი იყო აფხაზეთის ქათალიკოზის ევდომონის სურათი; XI საუკუნეში ეს ქათალიკოსი დიდ მეფე დავით აღმაშენებელთან ერთად აშენებდა გაენათის ტაძარს თავისი საკათედრო ტაძრის ბიჭვინტის მზგავსად. თვით დავითს ხელთ-უპყრია გაენათის ეკკლესია, ტანთ აცვია მწვანე წამოსასხამი, თავს ახურავს გვირგვინი. შემდეგი დროის მეფეების სურათებისაგან განირჩევა დავითი გრძელი წვერით და ახოვნებით. დავითის მარცხნივ სდგანან ბაგრატი და მეუღლე მისი ელენე და არა დავითის დიდი წინაპარნი, რადგან მათ დროს ჯერ კიდევ არ იყო აღშენებული გაენათის ტაძარი. ეს ის ბაგრატია, რომელმაც განათავისუფლა იერუსალიმი, და რომელიც მეორე პირია ბაგრატებ შორის, რომელნიც მეფობდნენ იმერეთში XVI საუკუნის დასაწყისში. ბაგრატის წამოსასხამი ემზგავსება დავითისას, მხოლოდ ჯვრის ფერისა; გვირგვინი კი სულ სხვა სახისა არის; გრძელი ულვაშები წვერის მაგიერ გვიხატავენ დროის შესაფერ ჩვეულებას. ბაგრატი დახატულია დავით აღმაშენებლის მახლობლად, რადგან ბევრ შემწეობას უწევდა დავითისაგან დაარსებულ უდაბნოს, რომელსაც შესწირა ღვთის-მშობლის ხატი. იმერეთის მეფენი, რომელნიც მეფობდენ ბაგრატამდის მაინცა-და-მაინც შესანიშნავნი არ არიან.

მეფეების გამოხატულებათა ზემოდ დახატულია ერთი დიდი სურათი, რომელიც წარმოგვიდგენს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლას. შეიძლება ამ სურათს რამე დამოკიდებულობა ჰქონდეს ბაგრატის დიდებულ შესვლასთან წმ. ქალაქში, როდესაც ამ მეფეს თან ახლდენ ქართლისა და კახეთის მეფენი, რომელნიც ყოველთვის ეხმარებოდნენ ბაგრატს. ამ სურათს ზემო გამოხატულია ქრისტეს აღდგომა, რომელსაც უწინ სულ სხვა ნაირად ხატავდენ. ე. ი. აღდგომის ნაცვლად ხატავდენ იესო ქრისტეს, რომელსაც ჯოჯოხეთიდგან გამოჰყავს ძველ აღთქმაში მცხოვრებ მორწმუნე მამათა სული. ძველი დროის მხატვარნი ხატებისა ვერ ჰბედავდნენ აღდგომის საიდუმლო წამის გამოხატვას, რადგან ეს წამი დაფარულ იქმნა თვით მენელსაცხებელ-დედათა და მოციქულთაგან; დღეს უფრო გათავამდენ მხატვარნი, და ნაცვლად მისსა, რომ დახატონ მხედარნი, რომელნიც, სახარების სიტყვებისა მებრ, მიწის ძვრისაგან შეშინებულნი დაეცენ მიწაზე ნახევრობით მკვდარნი, მათ მძინარებად ხატავენ, როგორც თვით ამ მხედართ მოიცრუეს ფარისეველთა შთაგონებით, ან კიდევ მხედარნი სდგანან და პირ-და-პირ მისჩერებიან აღდგომილს მაცხოვარს, ვერრაიცა შესძლეს თვით მოციქულებმა. კედლებზე ფანჯრების შუა დახატულია ორი დიდი მოწამე თეოდორე, ტირონი და სტრატილატე. ამ სურათის ზემოდ დახატულია მაცხოვარი, რომელიც ჯვარსა სწერს ომოფორით, და მის მახლობლად თორმეტ ტახტზე მჯდომარე მოციქულები, მსაჯულნი ქვეყნისა. მეორე პირდაპირი კედელი მომდომებული აქვს ყოვლად წმიდა ქალწულის მოგონებათა. ღვთის-მშობელი დახატულია შავ ტანისამოსში, მჯდომარე საყდელსა ზედა წინასწარმეტყველთა და მართალთა შორის. მეფე დავითი, რომელსაც ახურავს თავზე ბაგრატის გვირგვინის

---

იხ. „მწყემსი“ № 20, 1887 წ.

მსგავსი გვირგვინი, უკრავს საკრავზე, რომელიც ჰგავს ბერძნულს ჩანგსა. ამ დიდებულ კრების თავზე გამოხატულია ღვთისმშობელი სარეცელზე, მაგრამ მწოლარე, მისი მიძინების დროს, გარს ახვევიან მას მოციქულნი და ეგებება თვით უფალი. სხვა ფანჯრებ შუა კედლებზე დახატული არის სხვა ორი დიდი მოწამე გიორგი და დიმიტრი, ხოლო ზემოთ საიდუმლო კრება მოციქულთა, რომლებიც მოჰყავს ღრუბლებს, რათა მისცენ უკანასკნელნი პატივის ცემა ყოვლად წმიდა ქალწულს, რომელიც უკვე ამაღლდა თავის ღვთაებრივ ძისადმი.

სვეტებზე, რომლებზედაც დამაგრებულია თაღი, დახატულნი არიან, ძველ ჩვეულებისა მებრ, ორისავე სქესის მოწამენი, რომელთაც თავის სიცოცხლე შესწირეს მსოფლიო ეკლესიის დაფუძნებისათვის; ორ უმთავრეს სვეტზე, რომლებზედაც დამაგრებულია გუმბათი, დახატულია სურათები წინა მორბედისა, მისი მამის ზაქარიასი და ორ მართლ-მორწმუნე ქალების ანნასი და ელისაბედისა. ქათალიკოსებისათვის ყოფილ ადგილის მახლობლად დახატულია შესანიშნავი ზაქარია, რომელმაც გადმოიტანა აქ თავისი კათედრა, და ერთი უცნობი მიტროპოლიტი გელათისა, ხოლო ტაძრის შანიშ. ნებზე (хоры), სადაც უწინ ორი ეგუტერი იყო, არიან კიდევ გამოხატულნი მღვდელ-მთავარნი და ორი ხატი ღვთისმშობლის სასწაულებისა.

მთელს საკურთხეველს სამეუფო ადგილიდამ ანათებს სამი ფანჯარა; საკურთხევლის იქით-აქეთ გამოხატულნი არიან მოციქულები, რომელნიც იღებენ საიდუმლო ზიარებას, აქვე არის დახატული მაცხოვარი, რომელიც ძღევს ტრაპეზის ერთი კუთხიდგან თავის ღვთაებრივ ხორცს ექვს მოწაფეს, რომელნიც შემოსილნი არიან სამღვდელო ფილონებით, ტრაპეზის მეორე კუთხიდან მაცხოვარი დანარჩენ ექვს მოწაფეებს აწოდებს სასუმელს; ტრაპეზს ივარვენ ანგელოზები, მთავარ-დიაკვნების მსგავსად, და ხელში უკავიათ რიპიდები (სამწყერობელი წირვის დროს).

საუფლო ადგილს, რომელიც დანიშნულია ეპისკოპოსების და მღვდლების დასაჯდომად, ოთხი საფეხური აქვს, ხოლო ქათალიკოსისას რვა საფეხური. გარშემო დახატულნი არიან თვით მღვდელ-მთავარნი, ძველი მესაიდუმლენი ღვთის მადლისა, რომელიც გადმოდიოდა ეკლესიის მსახურებზე: სამი დიდი მღვდელ-მთავარი, ათანასე და პავლე ალექსანდრიელნი, კირილე იერუსალიმელი, გრიგოლი აკრაგანსკი, რომლის სურათს ხშირად ხედავს კაცი საქართველოს ეკლესიებში, თუმც ამ წმიდანის მოქმედების მოედანი იყო სიცილიაში, და პირველ მოწამე მთავარ დიაკვანი სტეფანე.

## საისტორიო მასალა.

ქ. წყალობითა ღვთისათა ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან მეფემან სრულიად საქართველოისა, ქართლისა, კახეთისა, სხვათა და სხვათამან, მეცამეტემან გიორგიმ და თანა-მეცხედრემან ჩვენმან ციციშვილის ასულმან, დედოფალმან მარიამ პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონმან დავით, იოვანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხაილ, ჯიბრაილ, ილიამ, ოქროპირმან და ირაკლიმ და ძის ძემან ჩვენმან გრიგოლ ესე უკუნისამდე, ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და წესისაებრ დიდათ ნამსახურს და აზნაურიშვილს ბაღრიძეს მღვდელსა ჩვენის კარისას ქრისტეფორეს, ძმასა შენსა ნაცვალს ნიკოლოზს, შვილსა შენსა დიონოს და პანტელეიმონს და შვილის-შვილსა შენსა იოანნეს და ძმისწულთა შენთა, გიორგის, პეტრეს, იოსებს, დავითს, სოლომონს, აბრამს და ბაღრიძეს მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომ კურთხეულს ბატონს მამა ჩვენს ახლდი ერევანზედ რომ გაილაშქრა, შენც თან გახლდი იქ და დაუზარებლად გვემსახურე, მერმე წახველ აღთქმის ქვეყანას, მესტანზეობა მიგელო, მოხველ, საქართველო საღმრთო წიგნისაგან ნაკლებათ იყო, და თოთხმეტი ათასი საღმრთო წიგნი დაგვიბეჭდე. მეტეხში კურთხეული მეფე საოფლისაგან ავათ იყო ორმოცი დღე და ღამე, შენ თავდადებით ემსახურე ყოვლის გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომ ალამაჰმად-ხან მოვიდა, ქალაქი ტფილისი დაწო და ტყვენი მრავალნი დაატყვევნა და ამ ტყვეთაგანნი ბევრნი განჯის ხანსა ჰყვანდნენ ტყვედ. ამავ წელიწადს კურთხეულმან ბატონმან ჯარი შეჰყარა, მივედით განჯის ციხის გარეშემო, დავსწვით, ავაოხრეთ და დავატყვევეთ; რომ დიდად შევაწუხეთ, რაც ციხეში ჩვენი ტყვე იყო, განჯის ხანმა მოცემა აღგვითქვა და ხარკი დაიდო. შენა და მისკარბაში იოსებ გაგზავნეთ განჯის ციხეში ხანთან, იქაც დიდად გაისარჯე, გულ-უშიშრად სახლები და დუქნები დაგევლო და სადაცა დამალული ტყვე ჰყოლოდათ, ისიც გეპოვა და სამ დაფად შვიდასი ქრისტიანი ტყვე გამოიყვანეთ განჯის ციხიდამ, მერმე ვითარცა არს სოფლის ჩვეულება, კურთხეული მამა ჩვენი თელავს მიიცვალა. მცხეთას უნდა მიგვესვენებინა, მცხეთაში დიდი ჭირი იყო და სვრა. შენ დაუთალაბი შეიქენ, თავი გამოიმეტე, მოგვეახსენე, რომ მე შევყვებიო, იახელ თანა; და ქართლიდამ და კახეთიდამა დიახ მრავალი ხალხი ახლდა თან, მაგრამ შენს მეტი არავინ შეჰყოლია. ვინც შიგ არ იყვნენ მცხეთელთ მეტი ჭირიანები. იქ საფლავს მოუდექი და ემსახურე. შენის სახლიდამ ძმა დაგებარებინა პურით, ღვინით და საკლავებით; აღდგომის დღეს წირვის შემდეგ სამთავროს გამოსულიყავ და წესისაებრ მართებული ალაპი გარდაგეხადა; მცხეთის ხალხნი, რომელნიც იქ ყოფილიყვნენ დახიზნულნი, დაგეპატიჟა. შემდგომ ჩვენ გვიახელ და დაღისტნის ჯარი გვყვანდა ექვსი ათასი სტუმრად, ამათთვის საჩუქრად სპილენძი დაგვჭირდა, სპილენძის მაძნანი მოშლილი იყო. ჭირი გაჩენილი იყო და ბერნები ხუთის თვის დაფანტულნი იყვნენ. შენ ბერძნული ენა იცოდი და ჩვენის ბრძანებითა წახველ, ბერძნები შეჰკრიბე, მადნის ოსტატნი და რაცა ნაკლებობა ჰქონდათ იარალისა, თუ საზრდელისა, შენ შეუსრულე, დიდათ ერთგულად და მხნედ გაისარჯე და მალე გაგვასტუმრებინე და ალამამადხანმა ქალაქი ტფილისი რომ დაწო, სტამბის ქარხანაცა დაეწვათ. ჩვენ სტამბა დაგვჭირდა, გიბრძანეთ და ესეც დიდის შრომით გამართე და მოგვართვი და ნაცვლად ამ სამსახურისა შენისა, წყალობა გიყავით ასე რომ პირველად აზნაურიშვილები ყოფილიყავით გვაროვნობით ბადრიძე ერთი თქვენი გვარისა მარტყოფს მოსულიყო საგლეხოს ქეჟერაანთ ბეითალმანს მამულზედ დასახლებულიყო და გაგლეხკაცებულიყო, ჩვენ ისევ აზნაურიშვილობა და ბადრიძეობა განგიახლეთ და გიბოძეთ. კიდევ გიბოძეთ ზემო ნორიოს ხუთი საკომლო ბეითალმანი მამული ბოგლიანთი შინაური ჩიტიაშვილისა, კუდაანთი და ქაჩალაანთი. ეს ხუთი საკომლო თავის ნავენახვებით, სახნავით, სათესით, წყალით, წისქვილით, მთით, ბარით და თავის სამართლიანის სამზღვრებით, რისაც მქონებელნი ყოფილან, უკლებლივ გვიბოძებია. კურთხეულს მამა ჩვენს მარტყოფის ნაცვლობა ორისავ ხევისა თქვენთვის ებოძებინა და ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია სიგელით ამით, რომ არაოდეს შენის სახლიდამ ნაცვლობა არ მოგეშალოსთ და თქვენც ეს სამსახური დაიდევით წლითი წლად, ასე რომ თერთმეტს იანვარს, რომელსაც დღეს კურთხეული მამა ჩვენი მეფე ირაკლი მიიცვალა, თქვენი ჩამამავლობა უნდა მივიდეს მცხეთას, იმ დღეს ორს მღვდელს და ერთს მთავარს დიაკონს კურთხეულის მამის ჩვენისათვის აწირვინოს და მწირველთ ჯეროვანი სადილი აჭამოს და სამთავრეა აბაზი საწირავი მიართვან. არ მოგეშალოს წყალობა ესე ჩვენნი არც ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან და გაბედნიერმა ყოვლის კაცის უცილებლად ჩვენსა ერთგულებას შიგან და რაოდენ უმეტესად გვახარებთ, ჩვენგანაც უმეტეს წყალობას მოელოდეთ. ასე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და ჩემნო მოხელენო, ბრძანება ესე ჩვენი თქვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნურავინ შლად ხელჰყოფთ თვინიერ შეწევნისა და თანადგომისა კიდე აღიწერა ნიშნი და ბრძანება ესე კარისა ჩვენისა კახთ მდივნის ქობულოვის დავითის ძის მდივნის ოთარის მიერ დეკემბრის კბ. ქრონ. უპზ. და განხორციელებიდგან უფლისა ჩღჟთ.

მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა
და სხვათა გიორგი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ შევიტყეთ, რომ რაჭაში ერთი აზნაურის ბაქრაძის ოჯახში დაცულია თურმე ერთი წიგნი, რომელსაც ეწოდება «სიბრძნე ბალავაროსა» და რომელიც შეიცავს ინდოეთის ერის მოქცევის ამბავსა. ეს წიგნი უწინდელ დროში უპოვიათ ევროპის წიგნთ-საცავში და ქართულს ენაზე უთარგმნიათ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში. ამ წიგნის ცალი დღეს ძვირად მოიპოვება მთელს საქართველოში და ამიტომ სასურველია, რომ ეს წიგნი მაინც იქმნეს დაცული ჯეროვანად. ძალიან კარგი იქნება, რომ ამ წიგნს პატრონი შესწირავდეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავს, სადაც ის არც პატრონისათვის იქნება დაკარგული და არც საზოგადოებისათვის.

***

თბილისიდგან გვწერენ: ამ ორი წლის წინად თბილისში გარდაიცვალა ერთი ფრიად მდიდარი ქართველი, გვარად ონიკოვი. ამ ონიკოვის მამას სწავლა თელავის სემინარიაში ჰქონდა შესრულებული; ის იყო მომსწრე ირაკლი მეფისა და მასთან მწიგნობარი კაცი. მას ჰქონდა მრავალი ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები ქართულს ენაზე. მამის სიკვდილის შემდეგ ეს მდიდარი წიგნთ-საცავი მის შვილს დარჩა. ამ შვილის სიკვდილის შემდეგ ეს წიგნთ-საცავი ვადვიდა მისი ძმისწულის ხელში. ამ ახალ გაზდა ქართველსაც აულია ყველა ეს წიგნები და ხელთ-ნაწერები და ფუთობით მიუყიდნია ერთ ვიღაც მედუქნისათვის, რომელსაც დაუხევია ხელნაწერები და წიგნები და პარკები გაუკეთებია მათგან. ჩვენ მალე შევიტყეთ ეს ამბავი და ამ მედუქნეს მივმართეთ, მაგრამ მას სულ დაეხია წიგნები. ვახტანგ მეფისაგან გამოცემული «ვეფხვის ტყაოსანი»-ს ფურცლები სულ ქუჩაში ეყარა.

***

ჭვათახევის მონასტრის წინამძღვარს განუზრახავს, რომ ამ მონასტრის ყველა შენობები შეაკეთოს და დაიცვას ისინი დაქცევისაგან.

***

გაზეთი «Ежен. Обозрѣніе» გვაუწყებს, რომ საერო განათლების სამინისტროის წინაშე შუამდგომლობენ თურმე ზოგიერთი ქალაქების საბჭონი, რომ უკანასკნელნი განთავისუფლებულ იქმნენ იმ ფულების გადახდისაგან, რომელსაც ისინი ეწეოდენ კლასიკურ გიმნაზიებს, რადგან ამ გიმნაზიებში შესვლა გაძნელებული აქვს დაბალ ხალხს.

***

გაზ. «Московскія Вѣдомости» გვაუწყებს: «კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვისათვის წარუდგენიათ განსახილველად და გამოსაძიებლად საქმე შესახებ იმისა, რომ იერუსალიმის პატრიარქის ნიკოდიმის წარმომადგენელს, არქიმანდრიტს დამიანს, გაუყიდნია სამონასტრო მიწები ქუთაისის გუბერნიაში; ამით დამიანმა დიდი ზარალი მისცა იმ მონასტრებს, რომელთაც ის მამულები საქართველოს ღვთისნიერ მეფეებმა და ერმა შესწირეს. შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ არქიმანდრიტს დამიანს, როცა სამონასტრო მამულებს განაგებდა ქუთაისის გუბერნიაში, მარტო 1886 წლის განმავლობაში გაუყიდნია თითქმის 3,284 ქცევა სამონასტრო მამულებისა, ბაღები და ზვრები 47, 500 მანათად. თითო ქცევას ჰყიდდა 14 მანათზე ნაკლებად, მაშინ-როდესაც კავკასიაში ერთი ქცევა სახნავ-სათესის მიწისა ისყიდება 20—50 მანათად; ბაღისა, ვაზისა და საბოსტნო მიწა-კი ისყიდება 150—400 მანათამდე თითო ქცევა». («ივერია»).

***

როგორც სჩანს ოფიციალურ წყაროებიდგან მთელს რუსეთის იმპერიაში ითვლება 1418 დეკანოზი, 34,375 მღვდელი, 6,810 მთავარ-დიაკვანი, 42,371 მედავითნე და სრულიად 84,974. ამათ გარდა შტატგარედ არის დარჩენილი 6,040 სასულიერო პირი. თეთროსანი სამღვდელოების შესანახავად ამ მიმდინარე წელში სახელმწიფოს დაუხარჯავს: ჯამაგირებად 5,988,191 მანეთი; პენსიებად მისცემიათ 354,355 მანეთი. ეპარქიალურ სამზრუნველოთ დაუხარჯავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სასულიერო წოდების ღარიბ პირთა ამავე წელში შესაწევნელად 1,428,000 მანეთი.

* * *

ხერსონის ეპარქიალური რჩევის გამოანგარიშებით სამრევლო სკოლებში თვითეული ყმაწვილის სწავლება ჯდება 1 მ. და 72 კაპ.; ხოლო სოფლის სკოლებში—5—6 მან. და ხან ამაზე მეტიცა.

* * *

წელს გამოყვანილ უნდა იქნეს მთელს იმპერიაში 235,000 ახალი სალდათი. ამას უნდა მიუმატოთ 2,400 სალდათი, რომელნიც ახლად გამოყვანილ უნდა იქმნეს წელს თერგის და ყუბანის სამფლობელოებიდგან და კავკასიიდგან. მაშასადამე მთლად ამ წელში გამოყვანილ უნდა იქნეს 237,400 სალდათი.

* * *

როგორც გვაუწყებს რუსული გაზეთი «Новости», მთავრობას აზრათა ჰქონია სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთა ზოგიერთ უფლებათა შემცირება. სახელდობრ: ამის შემდეგ, ვინც აზნაურთაგანი არ იქნება, ოცი წელიწადი უნდა იმსახუროს, რომ განსხვავებული სამსახურისათვის წარდგენილ იქმნეს მეოთხე ხარისხის წმ. ვლადიმირის ორდენზედა წინ-და-წინ მიღებული უნდა ჰქონდეს ანნა მეორე ხარისხისა.

ყველამ იცის, რომ წმ. ვლადიმირის ორდენი ანიჭებდა მიმღებს მკვიდრ აზნაურობას, ამასთან აძლევდა უფლებას თავად-აზნაურთა კრებაზე დასწრებისას და მზრუნველობისას, აძლევდა უფლებას შვილები შეეყვანა ლიცეიაში, საპოქალაქო რჯულთა სასწავლებელში, სააზნაურო ინსტიტუტებში, სახელმწიფო სამსახურში, კიდეც რომ არა ჰქონოდა მათ შვილებს შესრულებული სწავლა საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში.

* * *

აპირებენ, რომ ერთი საერთო წესდება შეადგინონ ყველა ეპარქიალურ სამღვდელოების ემირიტალურ კასსებისათვის.

* * *

სოფელ ქვალითში სცხოვრებს ორი გლეხი, რომელთაგან ერთი არის შობიდგან 130 წლისა, ხოლო მეორე—125 წ. ორივე ეს გლეხი ჯანმრთელად არიან და მუშაობაც შეუძლიათ.

* * *

ჩვენ ხალხს ზოგიერთები ისე უყურებენ, როგორც გაუნათლებელს და ველურს, მაგრამ როგორც ვხედავთ, არც რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში მცხოვრები მდაბიო ხალხი ყოფილა ძლიერ განათლებული; ამას, სხვათა შორის, გვიმტკიცებს შემდეგი შენიშვნა, რომელიც იყო დაბეჭდილი ერთ რუსულ გაზეთში. აი ეს შენიშვნა: «მზის დაბნელების დროს პროფესორი მენდელეევი ჰაეროსტატით ავიდა მაღლა ჰაერში, რათა მზის დაბნელებისათვის თვალი ედევნებინა. როცა ჰაეროსტატი დაბლა დაეშვა, პროფესორს მენდელეევს კინაღამ უბედურება არ შეემთხვა. გამოჩნდა თუ არა ჰაეროსტატი სოფ. ოზერკოვში, გამოცვივდნენ გლეხ-კაცები თოფებით და დაუპირეს სროლა; უნდოდათ მოეკლათ ის «მხეცი», რომელმაც, მათის აზრით, მზე დააბნელა. თუ რა იყო ჰაეროსტატი და შეიძლება თუ არა ჰაერში მოგზაურობა, გლეხებმა არ იცოდნენ. საბედნიეროდ, ჰაეროსტატი გასცილდა სოფ. ოზერკოვს და როცა სრულიად დაეშვა მიწაზე, ოთხიოდე კაცი მივარდა ჰაეროსტატს; უნდოდათ მისი დაგლეჯა და ძმურად განაწილება, მაგრამ ამ გვარის განზრახვისათვის იმათ თავი ამოაყოფინეს სატუსაღოში».

* * *

ჩვენ მივიღეთ ბ. მიხეილ ნასიძისაგან გამოცემული პატარა წიგნი «ქართული მწერლები, სახელმძღვანელო წიგნი ქართულის ენისა და ლიტერატურის შესწავლისათვის». წიგნი ღირს 20 კაპ. წიგნი შნოიანად არის გამოცემული. ჩვენის აზრით, ასეთი წიგნები ძლიერ სასარგებლო იქნებიან ჩვენი ხალხისათვის. ღმერთმან ჰქნას, რომ ამისთანა წიგნები გამრავლებულიყოს ჩვენში. იმედია, ბ. ნასიძე დაუმტკიცებს საზოგადოებას, რომ ჩვენში ერთ პირს გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოიძებნებიან ისეთი პირნი, რომელთაც სახელმძღვანელო წიგნების შედგენა შეუძლიათ...

* * *

რადგან საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფული მოუმატეს, პეტერბურგში, როგორც გვაუწყებენ რუსეთის გაზეთები, სდგება თურმე ახალი საზოგადოება, რომელიც უნდა დაეხმაროს ამ სასწავლებელთა მოწაფეებს; ეს საზოგადოება იმას ეცდება მარტო, რომ ღარიბ მოსწავლეთა მაგიერ შეიტანოს სწავლის ფული.

* * *

ამას წინად კითხვა იყო აღძრული, რომ უწმიდეს სინოდთან დაარსებულიყო ოფიციალური გაზეთი. ეხლა, როგორც გვაუწყებს ერთი რუსული გაზეთი, ეს კითხვა უკვე გარდაწყვეტილა; ახალი გაზეთი გამოვა თურმე 1 იანვრიდამ 1888 წლისა დეკანოზის სმირნოვის რედაქტორობით.

* * *

«პეტერბურგის უწყებებ»-ში სწერია: არ არის დიდი ხანი, რაც ყაზანში დაიბეჭდა ახალი აღთქმის 4,300 ცალი წიგნი თათრულს ენაზე, რომ ამ გზით ეს წიგნები გაავრცელონ თათრებ შორის.

კარგი იქნება, რომ ამ თარგმანს გაავრცელებდნენ საქართველოში და ახლად შემოერთებულ აჭარაში მცხოვრებ თათრებშიაც.

* * *

ჩვენ გვეკითხებიან, თუ სად ისყიდება ახლად დაბეჭდილი ტიბიკონი. ვუცხადებთ ყველას, რომ ჯერეთ ჩვენის სტამბიდამ არ გამოსულა ეს ტიბიკონი. ოქტომბრის დამლევს მზათ იქნება ეს წიგნი და ყველას შეეძლება მისი დაბარება «მწყემსი»-ს რედაქციიდამ და ქუთაისში ძმათა ჭილაძეების წიგნის მაღაზიიდამ.

* * *

გამოვიდა საბეჭდავიდამ და ისყიდება ქუთაისში ძმათა ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში და თბილისში ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში სიტყვანი და მოძღვრებანი, თქმულნი საქართველოს საექსარხოსოში, მაღალ ყოვლად სამღვდელო საქართველოს ექსარხოსის, არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ ქართულად გადათარგმნილნი რუსულიდგან. თითო წიგნი ღირს გაგზავნით 25 კაპ.

* * *

შორაპნის მაზრის სამხედრო ბეგრის საქმეების გამგე სამმართველო გვთხოვს ჩვენ შემდეგი განცხადების დაბეჭდვას: შორაპნის მაზრის სამხედრო ბეგრის საქმეების გამგე სამმართველო ამით აცხადებს, რომ ამ მიმდინარე წელში ეს სამმართველო გამართავს თავის სხდომებს ახალგაზრდა კაცების სამსახურზე გაწვევის შესახებ დაბა ყვირილაში ჯარში ახლად გამოწვეულ პირთა მოსაწოდებლად.

| | | | |
|---|---|---|---|
| მეოთხე | უბნიდამ (участокъ) | 1 | ნოემბერს. |
| 3 | " | 5 | " |
| 5 | " | 9 | " |
| 2 | " | 13 | " |
| 1 | " | 17 | " |

ზემოდ აღნიშნულ დღეებში უნდა გამოცხადდნენ დაბა ყვირილაში:

1) პირნი, რომელთა წლოვანება შეტყობილ უნდა იქნეს გარეგანი შეხედულებით 109 და 112 სამხ. ბეგრის წეს. სტატ. ძალით.

2) პირნი, რომელნიც თანახმად 158, 153 და 354 სამხ. ბეგრის წესდების სტ., გამოც. 1886 წელში, გაიყვანებიან სალდათად კენჭის უყრელად.

3) ყველანი, რომელნიც შთაწერილ არიან მოწოდებითი სიებში ამა წლისა; აქედგან გამოირიცხებიან:

ა) მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი და სხვა აღმსარებელნი, რომელნიც აღწერის შემდეგ აღყვანილ იქმნენ მღვდელობის ხარისხზე და აგრეთვე მართლ-მადიდებელნი მედავითნენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) პირნი, რომელნიც სწავლობენ დღეს სასწავლებლებში და რომელთაც მიეცათ ამ სამმართველოსაგან დრო.

მ) პირნი, რომელნიც თავისი ოჯახური მდგომარეობისა გამო სარგებლობენ პირველ რიგის უფლებით.

1 უბანს (участокъ) შეადგენენ შემდეგი სოფლის საზოგადოებანი: საქარის, კლდეეთის, ძიცხის, შორაპნის და ბოსლევის.

2 უბანს: თერჯოლის, საზანოის, ჩხარის, მუხურის და ხრეითისა.

3 უბანს: ძაცხის, რგანის, წირქვალის, ჩიხის, საჩხერის და არგვეთისა.

4 უბანს: ლიჩის, ქორბოულის, ჩხიროულის, მერევის ქორეთის და პერევისისა.

5 უბანს: ხუნევის, ამაშუკეთის, შროშის, ხარაგაულის, ღელვნის და ბექანთუმნისა.

***

21 სექტემბერს ს. წევაში პარაკლისის გადახდის შემდეგ ჩაჰყარეს საეკკლესიო-სამრევლო სკოლის შენობის საფუძველი. სკოლა იქნება ორ კლასიანი. სკოლის შენობას აშენებს თავის ხარჯით თვით მრევლი.

***

რევიზორებმა დაიარეს ქუთაისის გუბერნიის სასამართლოები, რომლებსაც რკინის გზა მიუდგებოდა. თითო-ოროლა საათი ყველგან დაჰყვეს სასამართლოების საქმეების გასარჩევად და შემდეგ წაბრძანდენ სახიდ თვისათ.

***

თბილისის სასულიერო სემინარიის სამმართველომ ამ წელში მოსთხოვა იმერეთის და გურია-სამეგრელიის ეპარქიების სამღვდელოებას ათას ხუთასი მანეთი სემინარიის მესამე ნორმალურ კლასთან პარალელური კლასის გასახსნელად, რადგან შაგირდების რიცხვი მატულობდა. ამ ფულებთან კიდევ ერთ-დროებითად ითხოვებოდა სამასი მანეთი. ვინაიდგან თავიანთი ხვედრი ფული გურია-სამეგრელიის სამღვდელოებამ არ წარადგინა, ამის გამო ეს განყოფილება არ გაუხსნიათ. ამის გამო თხუთმეტი შაგირდი დაუთხოვიათ სემინარიიდამ და არ იციან ამ საწყლებმა, სად წავიდენ.

## მღვდელთა საყურადღებოთ.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი კითხვები, რომელთა ახსნას და განმარტებას გვთხოვენ. აი, ეს კითხვები: 1) მონათლულ პირებს ურიათაგან მეტრიკაში ჩაწერის დროს მიმრქმელების გვარით სწერენ და მათ ძველ გვარებს სრულებით აღარ იხსენიებენ. რიგია, თუ არა, ასე მოიქცეს მღვდელი?

2) გვირგვინის კურთხევა ერთ დროს ორ-სამ სასიძოზე და სასძლოზე შეიძლება, თუ არა?

განმარტება.

1) მონათლულ ურიათა სახელი გამოეცვლებათ მარტო, მაგრამ გვარი მათი უნდა დარჩეს ძველი, თანახმად კანონისა მდგომარ. 954.

2) გვირგვინის კურთხევა ერთ დროს ორ სასძლოსა და სასიძოზე არ შეიძლება, თანახმად უწმიდესის სინოდის უქაზისა, გამოცემულის 1733 წელსა ივლისის 3-ს.

შ ი ნ ა ა რ ს ი: წმ. სოფიის ტაძარი კონსტანტინეპოლში.—ჩემი შთაბეჭდილებანი რუსეთში მოგზაურობის დროს.—ქართული საღმრთო წიგნთ-საკითხავი.—გურიიდამ.—გელათის მონასტერი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—საისტორიო მასალა.—მღვდელთა საყურადღებოდ.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 1887 г. 29 август.*

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.